

**საქართველოს მთავრობის**  
**დადგენილება №468**  
**2015 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ –  
ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ  
მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და  
გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ მომსახურების გაწევის სახეები, ვადები და საფასურები დანართების შესაბამისად: *(13.03.2017 N 126)*

ა) კვლევები (დანართი №1);

ბ) ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადები და საფასური (დანართი №2).

2. ყველა განსაკუთრებით საშიში პათოგენისა და ეპიდემიოლოგიურად მნიშვნელოვანი საეჭვო კლინიკური შემთხვევის დროს დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №1 დანართით განსაზღვრული სერვისები არის უფასო. *(13.03.2017 N 126)*

2<sup>1</sup>. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2 დანართის მე-5 პუნქტით განსაზღვრული, ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების შესახებ ცნობის გაცემაზე დაწესებული საფასური ვრცელდება მხოლოდ მეწარმე სუბიექტებზე. *(13.03.2017 N 126)*

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №1 დანართით განსაზღვრული მომსახურების საფასურები დაინტერესებული პირის მიერ რეაქტივებითა და სახარჯი მასალებით სრულად უზრუნველყოფის შემთხვევაში მცირდება 30%-ის ოდენობით. *(13.03.2017 N 126)*

4. საფასურის ეტაპობრივი გადახდის საკითხს წყვეტს ცენტრის გენერალური დირექტორი.

5. გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნება განხორციელდება შემდეგი წესით:

ა) თუ მომსახურების საფასური გადახდილია დადგენილი საფასურის განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილი საფასურის განაკვეთს შორის;

ბ) გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ბ.ა) ცენტრი, კანონიერი საფუძვლის არსებობისას, უარს აცხადებს მომსახურების განხორციელების თაობაზე;

ბ.ბ) დაინტერესებული პირი ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის დაწყებამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურების მიღების თაობაზე;

ბ.გ) ცენტრმა მომსახურება არ განახორციელა დადგენილ ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ცენტრი ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობებს დაინტერესებულ პირს მომსახურების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ და სრულად უბრუნებს გადახდილი მომსახურების საფასურს;

დ) ცენტრის მიერ მომსახურების დაწყების შემდეგ გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება;

ე) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაინტერესებული პირისათვის მის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნება ხდება 10 კალენდარულ დღეში.

6. ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ ცენტრისათვის დადგენილი წესით, მიმართვის მომენტიდან. მიმართვის სტანდარტული ფორმა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები რეგულირდება ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი N 1 (13.03.2017 N 126)

			ტარიფები
კვლევი			ფასი(ლრი)
1	IM.18.1.1	ალფა-ეტოპროტეინის განსაზღვრა სისხლში	25.0
2	IM.18.1.2	კანცეროემბრიონალური ანტიგენის განსაზღვრა სისხლში	30.0
3	IM.18.1.6a	საერთო პროსტატ-სპეციფიკური ანტიგენის განსაზღვრა სისხლში	30.0
4	IM.18.1.6b	თავისუფალი პროსტატ-სპეციფიკური ანტიგენის განსაზღვრა სისხლში	30.0
5	IM.18.1.3c	კა-15-3 (კარბოჰიდრატული ანტიგენის) განსაზღვრა სისხლში	30.0
6	IM.18.1.3a	კა-19-9 (კარბოჰიდრატული ანტიგენის) განსაზღვრა სისხლში	30.0
7	IM.18.1.3b	კა-125 (კარბოჰიდრატული ანტიგენის) განსაზღვრა სისხლში	30.0

8	HR.3.6	თირეოტროპული ჰორმონის განსაზღვრა სისხლში	25.0
9	HR..1.1f	თავისუფალი 3-იოდთირონინის განსაზღვრა სისხლში (T3)	25.0
10	HR.1.3	თიროქსინის თავისუფალი ფრაქციის განსაზღვრა სისხლში	25.0
11	IM.4.1.1	ანტისხეულები თირეოგლობულინის მიმართ	30.0
12	IM.4.1.2	ანტისხეულები თირეოიდული პეროქსიდაზის მიმართ	30.0
13	HR..3.4	ფოლიკულმასტიმულირებელი ჰორმონის განსაზღვრა სისხლში	25.0
14	HR..3.8	მალუტეინიზირებელი ჰორმონის განსაზღვრა სისხლში	25.0
15	HR..7.1	პროგესტერონის განსაზღვრა სისხლში	25.0
16	HR.7.10	17 -ჰიდროქსიპროგესტერონის განსაზღვრა სისხლში	30.0
17	HR..3.7	პროლაქტინის განსაზღვრა სისხლში	25.0
18	HR..7.3	ტესტოსტერონის განსაზღვრა სისხლში	30.0
19	HR.7.4	ტესტოსტერონის თავისუფალი ფრაქციის განსაზღვრა სისხლში	30.0
20	HR..7.2	ესტრადიოლის განსაზღვრა სისხლში	30.0
21	HR..7	თავისუფალი ესტრიოლის განსაზღვრა სისხლში	25.0
22	HR.4.5	ადამიანის ქორიონალური გონადოტროპინის განსაზღვრა სისხლში	22.0
23	HR.7.7	დეჰიდროეპიანდროსტერონ-სულფატის განსაზღვრა სისხლში	30.0
24	HR.5.5	კორტიზოლის განსაზღვრა სისხლში	30.0
25	HR.6.2	C-ჰეპატიტის განსაზღვრა სისხლში	35.0
26	HR.6.1	ინსულინის განსაზღვრა სისხლში	30.0
27	MB.9.8.g	CMVIgM, ELISA	25.0
28	MB.9.8.m	CMVIgG, ELISA	25.0
29	MB.9.27.m	HSV IgM, ELISA	20.0
30	MB.9.27.g	HSV IgG, ELISA	20.0
31	MB.9.67.g	Rubelia Virus IgG, ELISA	30.0
32	MB.9.67.m	Rubelia Virus IgM, ELISA	30.0
33	MB.9.37.m	TOXO Gondli IgM, ELISA	25.0
34	MB.9.37.g	TOXO Gondli IgG, ELISA	25.0
35	MB.9.185.a	H.pylori IgA, ELISA	25.0
36	MB.9.185.g	H.pylori IgG, ELISA	25.0
37	MB.9.79.a	Chlamydia trachomatis IgA	25.0
38	MB.9.79.g	Chlamydia trachomatis IgG	25.0
39	MB.9.79.m	Chlamydia trachomatis IgM	25.0
40	MB.9.92	Clostridium difficile Toxin A/B Stool, ELISA	35.0
41	MB.9.19.m	EBV Ig M	30.0
42	MB.9.19.g	EBV Ig G	30.0
43	MB.9.72.g	VZV IgG	25.0
44	MB.9.72.m	VZV IgM	25.0
45	MB.9.207.g	Leptospira IgG, ELISA	45.0
46	MB.9.207.m	Leptospira IgM, ELISA	45.0
47	MB.9.52.g	Borelia IgG	35.0
48	MB.9.52.m	Borelia IgM	35.0
49	MB.9.29.ab	Leishmania Ab - ELISA	35.0

50	A23.MB.4	ბრუცელოზის დიაგნოსტიკა აგლუტინაციის მეთოდით	25.0
51	A23.MB.4m	Brucella IgM, ELISA	45.0
52	A23.MB.4g	Brucella IgG, ELISA	45.0
53	MB.9.22	HAV ab ELISA	22.0
54	MB.9.35	anti HIV ELISA	22.0
55	MB.9.26	anti HCV ELISA	22.0
56	MB.9.25.S	anti HBs ELISA	22.0
57	MB5.25.C	anti HBc ELISA	22.0
58	MB.9.386.RA	Treponema pallidum (RW, RPR)	10.0
59	MB.9.35.RA	Anti-HIV	10.0
60	MB.9.26.RA	Anti-HCV (Hepatitis C virus )	10.0
61	MB.9.25.RA	Hepatitis B virus (HBsAg)	10.0
62	MB.9.386	TPHA	10.0
63	IM.6.3	ანტინუკლეარული ანტისხეულები - ANA	25.0
64	IM.6.1.2.m	ACA Ig M	25.0
65	IM.6.1.2.g	ACA Ig G	25.0
66	IM.6.1.1.m	APS Ig M	25.0
67	MB.2.UR	შარდის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
68	MB.2.EF	ბიოლოგიური სითხეების (პუნქტატები, ექსუდატები, ასციტური, ენდოტრაქეალური ასპირატი და სხვა) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა	45.0
69	MB.2.BL	სისხლის კულტივაცია, იდენტიფიკაცია, მგრძობელობა	45.0
70	MB.2.LQ	ლიქვორის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა	45.0
71	IMB.01	ნაღვლის წვენის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
72	MB.2.MT	პირის ღრუს გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
73	MB.2.R	ცხვირის ლორწოვანიდან აღებული მასალის ბაქტერიოლოგია პათოგენურ ფლორაზე	45.0
74	MB.2.O	ყურის ნაცხის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
75	MB.2.	თვალის ნაცხის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
76	MB.2.L	ხახის ნაცხის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
77	MB.2.W	ჭრილობის ნაცხის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
78	MB.2.362	საშოს ნაცხში B ჯგუფის სტრეპტოკოკის კულტივაცია და მგრძობელობა	30.0
79	MB.2.FM	საშოს ნაცხის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
80	MB.2.GM	ურეთრის ნაცხის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
81	MB.2.GM.sp	სპერმის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
82	MB.2.FA	ფეკალური მასების ამოკვლევა პათოლოგიურ ფლორაზე (სალონელა, შიგელა, კამპილობაქტერია და სხვა)	45.0
83	MB .2.FA.1 46	განავალში Escherichia coli H7:0157-ს იდენტიფიკაცია (ჰემოლიზურ- ურიმიული სინდრომი)	30.0
84	MB .2.FA.d	ფეკალური მასების გამოკვლევა დისბაქტერიოზზე	45.0
85	MB.2.FA.336	ფეკალური მასების გამოკვლევა შიგელას მტარებლობაზე	30.0
86	MB.2.FA.70	ფეკალურ მასებში ?????-ის იდენტიფიკაცია და მგრძობელობა	45.0
87	MB .2.SP	ნახველის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0
88	MB.2.m	ქალის რძის გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე	45.0

89	MB. 2.69	სხვადასხვა მასალის გამოკვლევა CANDIDA -ს ჯგუფის სოკოზე	45.0
90	MB.2.EF.	ჰუნქტატების, ჭრილობებისა და ბიოლოგიური სითხეების გამოკვლევა	52.0
91	MB.2RA.372	Streptococcus Pneumonalae- ანტიგენის განსაზღვრა შარდში, ცერებროსპინალურ სითხეში	30.0
92	MB.1.2	ბაქტერიების გამოვლენა ნატიურ შედეგილ ნაცხებში (გრამის წესით შედეგილ ნაცხებში)	15.0
93	MB.2.AST	ბაქტერიების მგრძობელობის დადგენა ანტიბიოტიკების მიმართ	15.0
94	MB.2.AST	ბაქტერიების მგრძობელობის დადგენა ანტიბიოტიკების მიმართ	15.0
95	MB.2.EN.S	ქიურგიული მასალის გამოკვლევა	25.0
96	MB.2.EN.S	ჰაერის გამოკვლევა	25.0
97	MB.2.EN.S	ჩამონარეცხების გამოკვლევა პათოგენურ ფლორაზე S.aureus, Srrep. Spp. Candida, E.coll, Pseudomona, Proteus spp	25.0
98	MB.2.EN.S	მასალის კვლევა Legionella-ზე	98.0
99	MB.2.EN.S	ცხვირის ნაცხის კვლევა მტარებლობაზე	25.0
100	PR.1.2	ჰელმინთებზე ფეკალიების მიკროსკოპიული გამოკვლევა	10.0
1.01	BL.7.1	საერთო ცილის განსაზღვრა სისხლის შრატში	10.0
102	BL.7.4	ალბუმინის განსაზღვრა სისხლის შრატში	10.0
103	BL.9.3	კრეატინინის განსაზღვრა სისხლის შრატში	10.0
104	UR.2.16.3	კრეატინინის განსაზღვრა შარდში	10.0
105	BL.9.1	შარდოვანას განსაზღვრა სისხლის შრატში	10.0
106	UR.2.16.1	შარდოვანას განსაზღვრა შარდში	10.0
107	BL.9.7	შარდმჟავას განსაზღვრა სისხლის შრატში	10.0
108	UR.2.16.7	შარდმჟავას განსაზღვრა შარდში	10.0
109	BL.12.1	გლუკოზის განსაზღვრა სისხლში და სისხლის შრატში	10.0
110	BL.13	ლიპიდური პროფილი საერთო ქოლესტერინი, მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინი, დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები	30.0
111	BL.13.2.1	საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლის შრატში	15.0
112	BL.13.7.2a	მაღალი სიმკვრივის ლპ-ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლში (ალფა ლიპოპროტეინების)	15.0
113	BL.13.7.2c	დაბალი სიმკვრივის ლპ-ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლში (ბეტა ლიპოპროტეინების)	15.0
114	BL.13.6	საერთო ტრიგლიცერიდების განსაზღვრა სისხლში	15.0
115	IBH.01	ღვიძლის ფუნქციები საერთო ბილირუბინი, პირდაპირი ბილირუბინი, ალანინამინოტრანსფერაზა, ასპარტატამინოტრანსფერაზა, გამაგლუტამინტრანსფერაზა, ტუტე ფოსფატაზა, საერთო ცილა, ალბუმინი	25.0
116	BL.10.1.1	საერთო ბილირუბინის განსაზღვრა სისხლის შრატში	12.0
117	BL.10.1.2/BL..10.1.3	თავისუფალი (არაკონიუგირებული) და კონიუგირებული ბილირუბინის განსაზღვრა სისხლის შრატში	12.0
118	BL.11.2.1	ასპარტატამინოტრანსფერაზის განსაზღვრა სისხლში	12.0
119	BL.11.2.2	ალანინამინოტრანსფერაზას განსაზღვრა სისხლში	12.0

120	8L.11.2.3	გამაგლუტამილტრანსფერაზის განსაზღვრა სისხლში	12.0
121	BL.5.6	ტუტე ფოსფატაზის განსაზღვრა სისხლში	12.0
122	BL.11.1.1	ლაქტადეჰიდროგენაზის განსაზღვრა სისხლში	12.0
123	BL.1.8	გლიკირებული ჰეგოგლობინის განსაზღვრა	20.0
124	BL.15.1	კალციუმის განსაზღვრა სისხლში	12.0
125	BL.14.5	რკინის განსაზღვრა	12.0
126	BL.14.4	მაგნიუმის განსაზღვრა სისხლში	12.0
127	BL.15.2	ფოსფორის განსაზღვრა სისხლში	12.0
128	BL.17	ანტიტრეპტოლიზინი O-ს განსაზღვრა სისხლში	15.0
129	IM.8.3.1	ანტისხეულები IgG რევმატოიდული ფაქტორის (Fc) მიმართ (RF)	15.0
130	BL.7.9.1.a	C-რეაქტიული ცილის განსაზღვრა სისხლის შრატში	15.0
131	UR.7	შარდის საერთო ანალიზი	10.0
132	CG.6	პროთრომბინის ინდექსის, საერთაშორისო ნორმალიზებული შეფარდების (INR) განსაზღვრა	15.0
		<b>სხვა სახის კვლევა და კონსულტაცია</b>	<b>ღირებულება (ლარი)</b>
133	XXDE9X	ულტრასონოგრაფიული კვლევა	20.00
134	ZYX90	სპეციალისტის კონსულტაცია	20.00
<b>მოლეკულური კვლევები</b>			
135	I.Food.DNA1	საკვები პროდუქტებიდან დნმ-ის ექსტრაქცია (რეაგენტების გარეშე)	50
136	I.Food.DNA2	საკვები პროდუქტებიდან დნმ-ის ექსტრაქცია (სრული მომსახურება)	100
		<b>შტამები</b>	<b>ღირებულება (ლარი)</b>
137	შტამები (გარდა განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა შტამებისა)		120.00
	<b>სადეზინფექციო ხსნარების ეფექტურობის განსაზღვრა</b>		<b>ღირებულება (ლარი)</b>
138	სადეზინფექციო ხსნარის ეფექტურობის განსაზღვრა (ერთი პათოგენით) (S.aureus, E.coll, P. aeruginosa, B. Anthracis) და სხვ.		100
<b>განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების გამომწვევების გამოვლენის და ადეკვატური ეპიდსაწინააღმდეგო სამუშაოს ღირებულება</b>			
			<b>ღირებულება (ლარი)</b>
139		ერთი ერთეული გამოკვლევა (მათ შორის ველზე გასვლით)	1667,00
<b>ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორების შესწავლა</b>			
	სამედიცინო სტატისტიკური კლასიფიკატორი	ტრენინგის კურსის ხანგძლივობა	ღირებულება 1 (ერთი) მსმენელზე
140	ერთი კლასიფიკატორის შესწავლა	6 საათი (ერთი დღე)	70,00
<b>მიკრობიოლოგიურ კვლევებზე სწავლების კურსი</b>			
		<b>დასახელება</b>	<b>ერთი</b>

		მსმენელის ფასი/დღე
141	ბაქტერიოლოგიური კვლევების თანამედროვე მეთოდები შემდეგი მიკროორგანიზმების გამოსავლენად: E.coll; Salmonella; Shigella; Proteus; Legionella; Proteus; Pseudomonas aeruginosa; Clostridia და სხვა.	30 ლარი
142	ეტალონური კულტურების მართვა (ლიოფილიზირებული კულტურის აღდგენა, სამუშაო კულტურის მარაგის შექმნა, კულტურის მომზადება მიზნობრივი გამოყენებისთვის, ხარისხის კონტროლი)	30 ლარი
143	ბიოუსაფრთხოების ზოგადი კურსი	30 ლარი
144	პრეპარატორის მომზადება [ლაბორატორიული ჭურჭლის მომზადება, საკვები ნივთიერების დამზადება, უსაფრთხოების ნორმების შესწავლა)	30 ლარი
145	ვირუსოლოგიური კვლევის მეთოდები	30 ლარი
146	სეროლოგიური კვლევის მეთოდები	30 ლარი
147	მოლეკულური კვლევის მეთოდები	30 ლარი

დანართი N 2 (13.03.2017 N 126)

### ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადები და საფასური

1. ამ დადგენილების N1 დანართით განსაზღვრული სადებიზინფექციო ხსნარების ეფექტურობის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები ტარდება 5 სამუშაო დღის ვადაში სხვა დანარჩენი სახის კვლევები - არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

2. ამ დადგენილების N1 დანართით განსაზღვრული კვლევის ვადები მისი სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება ინდივიდუალურად.

3. ცენტრის მიერ რეგისტრაციო მომსახურების გაწევის ვადები და საფასურია:

ა) სამედიცინო სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა (10 სამუშაო დღის ვადაში) რეგისტრაცია - 400 (ოთხასი) ლარი;

ბ) სამედიცინო სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა (14 სამუშაო დღის ვადაში) რეგისტრაცია - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;

გ) სამედიცინო სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა (30 კალენდარული დღის ვადაში) რეგისტრაცია - 200 (ორასი) ლარი.

4. სადებიზინფექციო საშუალების რეგისტრაციის საფასური არ მოიცავს სადებიზინფექციო საშუალების კვლევის საფასურს. ეს უკანასკნელი განისაზღვრება N1 დანართით. სადებიზინფექციო საშუალების რეგისტრაციისას სადებიზინფექციო საშუალების კვლევის მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრაციისათვის ამ დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადა მოიცავს კვლევისათვის საჭირო ვადასაც.

5. ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების შესახებ ცნობის გაცემის ვადები და საფასურია:

ა) ცენტრის მიერ რეგისტრირებული სამედიცინო სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა რეგისტრაციის თაობაზე ცნობის გაცემა ერთ სამუშაო დღეში - 100 (ასი) ლარი;

ბ) ცენტრის მიერ რეგისტრირებული სამედიცინო სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა რეგისტრაციის თაობაზე ცნობის გაცემა 5 დღეში - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ) ცენტრის მიერ რეგისტრირებული სამედიცინო სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა რეგისტრაციის თაობაზე ცნობის გაცემა 14 სამუშაო დღეში და მეტში - უფასო.